community

The New Apostolic Church around the world

02/2017/GE

ახალი სამხ. ეკლესია
სამხრეთ აფრიკა

ღვთისმსახურება
ავსტრალიაში
სანდო ღუზა

რედაქციისგან: შევიცნოთ
ღმერთი და მისი
შემოქმედება

ეკლესიის მოძღვრება:
ცოდვათა მიტევება და
მოციქულობა

New Apostolic Church
International

შევიცნოთ ღმერთი და მისი შემოქმედება

ფოტო: ს.ა.ხ.ს.ე.

საყვარელო ერთმორწმუნე და-ძმანო,

ამა წლის დევიზი „ვადიდოთ ღმერთი, მამა ჩვენი“ სამ ამოცანას შეიცავს, რომლებიც 2017 წლისათვის დავისახეთ. ღვთის დიდებისა და საქმეების შემეცნება სულ თავშია მოცემული. ღვთის დიდების მის დიდებულებაში შემეცნება საკმაოდ რთულია. მაგრამ ღვთის საქმეებში წვდომა სულიწმიდის მეშვეობით არის შესაძლებელი. - და მაინც რა უნდა შევიმეცნოთ?

ღმერთმა ხილული სამყარო შექმნა. ყოველივე მისგან მოდის. მისი ნება ყოველივეს დასაბამია. მოდით, ვაღიაროთ ღმერთი როგორც შემოქმედი და ეჭვქვეშ ნუ დავაყენებთ მის ავტორობას: „ხოლო თუ მათი ძალა და ქმედითობა განაცვიფრებდათ, მათი მიხედვით ისიც უნდა შეეცნოთ, რაოდენ უფრო ძალმოსილი იქნებოდა მათზე მათივე შემოქმედი. რადგანაც ქმნილებათა მშვენიერების სიდიადის მიხედვით შეიცნობა მათი შემოქმედიც“ (სიბრძ. 13, 4-5).

ღმერთმა უხილავი სამყარო შექმნა. ხილულ, მატერიალურ შემოქმედებასთან ერთად ღმერთმა სულიერი სამყაროც შექმნა. ამ სამყაროს განეკუთვნება ადამიანის ცოცხალი სული. ღმერთმა გზა გაკვალა იმისათვის, რომ ადამიანმა მასთან მისვლა შეძლოს მასთანვე თანაზიარებაში. „ვინაიდან ისე შეიყვარა ღმერთმა წუთისოფელი, რომ მისცა თავისი მხოლოდშობილი ძე, რათა ყოველი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე“ (იოან.3, 16). ეს არის გზა! ასე გვეუბნება სულიწმიდა.

ღმერთმა მთელი შემოქმედება ადამიანის განკარგულების ქვეშ მოაქცია. ის არის და იქნება თავისი შემოქმედების მესაკუთრე. და იგი ზრუნავს იმაზე, რომ მის შემოქმედებაში ყველაფერი წინ წავიდეს. ჩვენ, ადამიანებს, მან ხილული შემოქმედება მოგვანდო, რათა პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ მას.: „... და დაეუფლეთ მას“ (დაბ. 1, 28). მოდით, გავუფრთხილდეთ მის შემოქმედებას და პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ მის რესურსებს.

მოდით, შევიმეცნოთ და ვაღიაროთ ღმერთი როგორც შემოქმედი. ხილული და უხილავი სამყარო ყველა ადამიანისათვის შეიქმნა. ეს შემეცნებაა ამოსავალი წერტილი იმისა, რომ ვადიდოთ ღმერთი და მადლი შევწიროთ მას, ასევე საფუძველი იმისა, რომ ვილაპარაკობთ მასზე და მისი დიდება ვიუწყოთ.

ამ აზრით, ვუსურვებ ყველა ჩვენთაგანს, რომ ღვთიურ განზომილებებში ჩახედვა შეძლოს.

გულითადი მოკითხვებით, თქვენი

ჟან-ლუკ შნაიდერი

თითქმის ათასამდე მორწმუნე შეიკრიბა პერთის საკონცერტო დარბაზში პირველმოციქულ შნაიდერის ღვთისმსახურებაზე. ავსტრალიის თემების დანარჩენმა 1330-მა მორწმუნემ კი ამ ღვთისმსახურების ვიდეოტრანსლიაციას უყურა.

ფოტო: ავსტრალიის ახ.ს.ეკ.

სანდო ღუზა

ებრ. 6, 19. 20

„რომელიც ჩვენი სულისათვის ღუზასავით სანდოა და მტკიცე და შედის ფარდის მიღმა, სადაც ჩვენთვის წინამორბედად შევიდა იესო და გახდა უკუნისამდე მღვდელმთავარი მელქიცედეკის წესით.“

ჩემო საყვარელო და-ძმანო აქ და შემოერთებულ თემებში! ნება მიბოძეთ, ყველა ჩვენთაგანის სახელით მადლობა გადავუხადო გუნდს შესრულებეული საგალობლისათვის. ძალიან შთამბეჭდავად შეასრულეთ „უფალი ნათელია ჩემი“! დარწმუნებული ვარ, რომ ამ საგალობელს ყველა ჰყვებოდა გულში, რამეთუ ჩვენი სურვილია, დიახ, არა მარტო სურვილი, არამედ ჩვენი მტკიცე ნებაც, რომ სამუდამოდ უფლის სახლში დავრჩეთ.

ძალიან მიხარია, რომ აქ, ავსტრალიაში, ვიმყოფები და მინდა გითხრათ, ამჟამად არ გამჭირვებია ჩვენი ძმების მოტივირება იმის თაობაზე, რომ ჩვენი

შეხვედრა აქ შემდგარიყო. ყველა მოტივირებული იყო, რამეთუ სამხ. მოციქულთა კრება პერთში ტარდებოდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, ეს შეკრება კურთხევად იქცა ყველა ჩვენთაგანისათვის, ვინაიდან რწმენაში განგვამტკიცა მან; საერთო ლოცვით, სარწმუნოებრივი გამოცდილებების გაცვლა-გამოცვლითა და თანაზიარებაში სიხარულით კი ერთმანეთი გავაძლიერეთ. მართლაც, კურთხევა იყო ის, რომ ამ რამოდენიმე დღის ერთად გატარება შევძელით; ამან ჩვენი რწმენა და ჩვენი ერთობა გააძლიერა.

დარწმუნებული ვარ, რომ ამ დღისათვის მომზადებამ თქვენც მოგიტანათ კურთხევა. ბევრი გააკეთეთ ერთად, ერთად ილოცეთ და, როცა ერთად მუშაობენ და ერთად ლოცულობენ, ამას ყოველთვის კურთხევა მოსდევს. ახალა კი, მოდით, ჩვენი ზეციერი მამის კურთხევა ერთად გამოვცადოთ სიტყვასა და წყალობაში.

ალბათ ცოტა გაგიკვირდათ, როცა ეს ბიბლიური ციტატა წაგიკითხეთ. ეს სიტყვა, ებრაელთა მიმართ ეპისტოლედან, სიტყვაუხვი და რთული გვეჩვენება, მაგრამ შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ მისი გაგება სულაც არ არის ძნელი. მეც კი გავიგე. ავტორი იმედზე ლაპარაკობს და მას ღუზას ადარებს. ვფიქრობ, პერთში ყველა მაშინვე გაიგებდა ამ შედარებას. როცა გემი ღუზას უშვებს, ღუზა ზღვის ფსკერზე იძირება და ამაგრებს ხომალდს ისე, რომ დინებამ და ქარმა მისი დრეიფზე გაყვანა ვერ შეძლოს.

ციტატაში ნათქვამია, რომ იმედი „სულის ღუზაა“. ჩვენ ღმერთის იმედი გვაქვს, ქრისტეს იმედი გვაქვს და ეს იმედი, ეს ღუზა, ჩვენს დრეიფზე გასვლას აბრკოლებს, და საშუალებას გვაძლევს, მყარად ვიდგეთ ჩვენს ადგილზე - როგორც საგალობელში ჟღერს, უფლის სახლში.

> ღმერთი, ვის იმედადაც ვართ, ერთგულია და ასრულებს იმას, რასაც აღგვითქვამს.

შემდეგ ნათქვამია, რომ ღუზა „შედის ფარდის მიღმა“. ეს ცოტა უფრო რთულია, რადგან აქ მეორე შედარება შემოდის: ტაძრის ფარდა, რომელიც წმიდათა წმიდას გამოყოფდა, იმ განსაკუთრებულ ადგილს, სადაც იმჟამინდელი წარმოდგენების მიხედვით ღმერთი იყო დავანებული. მაშასადამე, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ღუზა განსაკუთრებულ ადგილას არის ჩაშვებული: იქ, სადაც ღმერთი მკვიდრობს. ჩვენი იმედის ღუზა თავად ღმერთშია. ჩემი აზრით, ეს შედარება ასე უფრო გასაგებია.

ახლა კი ისმის კითხვა: რისი იმედი გვაქვს? რაზე ვლაპარაკობთ? როცა ვამბობთ, რაღაცის იმედი გვაქვსო, როგორც წესი, ამაში იმას ვგულისხმობთ, რომ რაღაცას ველოდებით და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი მოლოდინი გამართლდება. ეს არის იმედის ჩვეულებრივი განსაზღვრება. მორწმუნეთა,

პირველმოციქულს თან ახლდნენ 17 სამხ. მოციქული და 7 სამხ. მოციქულის თანაშემწე. ერთი დღით მათ ადრე იგი მათთან ერთად საშემოდგომო შეკრებას დაესწრო.

ქრისტიანთა, იმედი კი უფრო მეტს ნიშნავს: ჩვენ გვაქვს რაღაცის მოლოდინი და ვიცით, რომ ღმერთი მას შესაძლებელს გახდის. მას შეუძლია სინამდვილედ აქციოს ის, რაც ადამიანებისათვის შეუძლებელია. ჩვენ ღმერთის იმედად ვართ, მივმართვთ მას ჩვენი სურვილებით და ვიცით, რომ იგი შეასრულებს მათ, თუკი მისი ნება იქნება. ეს არის ქრისტიანულ რწმენაში დაფუძნებული იმედი, რომელიც სულ სხვა დონეზე დგას და თვისობრივად სულ სხვა არის, ვიდრე ზოგადად იმედი.

„იმედი გვაქვს“ ნიშნავს იმას, რომ დარწმუნებულნი და მოლოდინით აღსავსე შევცქერით მომავალს, ვინაიდან გვწამს და ვიცით კიდეც, რომ ღმერთი შეასრულებს თავის აღთქმებს. ეს არის ის იმედი, რაზედაც აქ არის ლაპარაკი, ჩვენი იმედი.

რა აღგვითქვა ღმერთმა? ღმერთმა ადამიანს საუკუნო სიცოცხლე, მასთან საუკუნო თანაზიარება აღუთქვა. ღმერთის ძირითადი აღთქმა, მისი პირველი პირობა ადამიანისათვის ასეთია: „დაგეხმარები, რომ ჩემთან საუკუნო თანაზიარებაში შემოხვიდე.“ და კიდევ ერთი ღვთიური აღთქმა მივიღეთ, იესომ აღგვითქვა: „როცა წავალ და ადგილს გაგიმზადებთ, ისევ მოვალ და ჩემთან წაგიყვანთ, რათა, სადაც მე ვარ, თქვენც იქ იყოთ“ (იოან. 14, 3). ეს ქრისტეს მეორედ მოსვლის აღთქმაა.

მესამე აღთქმა ღმერთმა კაცობრიობას მისცა: „აჰა, მე შევქმნი ახალ ცას და ახალ მიწას“ (ეს. 65, 17). იქ, ღმერთთან საუკუნო თანაზიარებაში, ადგილი აღარ ექნება ბოროტებას, სიკვდილსა და ტანჯვას. ეს არის ის აღთქმები, რომლებიც ღმერთმა კაცობრიობას მისცა. როცა იმედზე ვლაპარაკობთ, ამ აღთქმებს ვეყრდნობით, რომელთა აღსრულებისაც გვწამს. ეს არის ჩვენი იმედი და მისი ღუზა თავად ღმერთშია. ეს ადამიანის დაპირებები კი არ არის, არამედ ღმერთში დაფუძნებული პირობაა. ვიცით, რომ ღმერთი ჭეშმარიტებაა. ბიბლია ამბობს: „შეუძლებელია ღმერთმა იცრუოს“ (ებრ. 6, 18). ყველაფერი, რასაც იგი ამბობს, ჭეშმარიტებაა. ღმერთი, რომლის იმედადაც ვართ, ერთგულია. იგი შეასრულებს იმას, რასაც აღგვითქვამს. ის, რომ ღმერთი შეასრულებს თავის სიტყვას, მტკიცე და მყარი საყრდენია ჩვენთვის. იგი ყოვლისშემძლეა და ვერავინ შეუშლის ხელს იმის გაკეთებაში, რაც ჩაიფიქრა. მასშია ჩვენი იმედის ღუზა.

ჩვენს ციტატაში ნათქვამია, რომ წინამორბედი ჩვენთვის წავიდა იქ. ეს შედარება მომწონს. არ ვიცი, დღესაც ასეა თუ არა, მაგრამ ადრე, როცა დიდი გემები პირდაპირ მისადგომთან ვერ ახერხებდნენ ღუზის ჩაშვებას, ღუზას ერთ პატარა ნავში ათავსებდნენ იმ მიზნით, რომ შემდეგ მოხერხებულ ადგილას გადაეგდოთ იგი, რათა გემი მყარად მდგარიყო. ჩვენი ციტატის საფუძელი სწორედ ეს არის. იესო იყო წინამორბედი, ის, როგროც მკვდრეთით აღმდგარი, როგორც პირმშო, ღვთის სასუფეველში შევიდა. მან ღმერთთან ჩაუშვა ღუზა. მშვენიერი შედარებაა, მე ის მომწონს! მან გზა გაგვიხსნა და ყველაფერი შესაძლებელი გახადა. მან გვითხრა: „თუ გწამს, თუ მორიჩლი ხარ, თუ გამომყვები, მაშინ შენც შეძლებ აღდგომას. მიიღებ აღდგომის სხეულს და გექნება უფლება, იმ განსაკუთრებულ ადგილზე მოხვდე, სადაც ღმერთია, სადაც მასთან საუკუნო თანაზიარება გექნება. მე ეს შევძელი და შენც დაგეხმარები ამაში“ - ამას გვპირდება წინამორბედი.

ახლა რას აკეთებს იგი იქ? ის ჩვენთვის ლოცულობს. ის ჩვენი შუამავალია, რომელიც ღმერთთან, მამასთან, გვექომაგება. ამის საფუძველზეა ჩვენი იმედი ასეთი მტკიცე და სარწმუნო, რომლის ღუზაც თავად ღმერთშია, მასში, ვინც ჭეშმარიტებაა და ყოვლისშემძლეა. იქ არის იესო, ჩვენი წინამორბედი, ის ჩვენზე ადრე წავიდა იქ. მან გზა გაგვიკვალა და ყველაფერი შესაძლებელი გახადა, იგი ჩვენთვის ლოცულობს. ამ იმედით ანუ ამ სანდო ღუზით არასოდეს მოვყვებით გემის კატასტროფაში.

ცხადია, იმის დანახვა, რისი იმედიც გვაქვს, ჯერ არ შეგვიძლია. ბიბლია ამბობს, რომ იმედი, რომლის დანახვაც შესაძლებელია, იმედი არ არის. და შემდეგ ნათქვამია: „ხოლო თუ იმის სასოება გვაქვს, რასაც ვერ ვხედავთ, მოთმინებით მოველით მას“ (რომ. 8, 24. 25). იმის დანახვა, რისი იმედიც გვაქვს, არ შეგვიძლია, თუმცა იმედის შედეგებს ყოფით ცხოვრებაში ვხედავთ. ეს საკმაოდ კონკრეტულია და ამის დანახვა შესაძლებელია.

ზოგჯერ ქარიშხალშიც ვხვდებით, ამ დროს გემს ქარი და ტალღები აქეთ-იქით ახეთქებს, მაგრამ მყარ, სანდო ღუზას მაგრად უჭირავს იგი და დიდი ქარიშხალიც ვერ გლეჯს მას ადგილიდან. ღუზა მყარად აჩრებს მას თავის ადგილზე. მართალია, მაგრად ირყევა, მაგრამ საყრდენს მაინც არ კარგავს. ეს მშვენიერი შედარებაა ჩვენთვის.

ჩვენ იმედიანად და მოლოდინით შევცქერით მომავალს.

ის ფაქტი, რომ ღვთის შვილები ვართ და იმედი გვაქვს, არ გვიცავს იმისგან, რომ ტალღებმა აქეთ-იქით არ მიგვახეთქოს. განსაცდელი გვარყევს, გამოცდას გვიწყობს და ხშირად ისევე გვიწევს ტანჯვა, როგორც იმ ადამიანებს, რომლებსაც არ სწამთ და, რომლებსაც ასევე აქეთ-იქით ახეთქებენ. მაგრამ ჩვენ გვაქვს ეს მყარი და სანდო ღუზა და ვიცით, რომ დიდება, რომლის მოცემაც ღმერთს ჩვენთვის სურს, გაცილებით დიდია, ვიდრე ის ტანჯვა, რომელიც თავს გვატყდება. როცა ამ განსაკუთრებულ ადგილას ვიქნებით, აღარ გავიხსენებთ იმ ტანჯვას, რომლის დათმენაც ჩვენი ამქვეყნად ყოფნის დროს გვიწევდა. ეს მტკიცე იმედია. რა თქმა უნდა, ვიტანჯებით, ჩვენც ისე გვახეთქებენ აქეთ-იქით, როგორც გემს ტალღები, მაგრამ კურსს არ ვკარგავთ და ვერაფერი წარგვიტაცებს ღვთისგან, მასთან თანაზიარებისგან. ჩვენ იმედი გვაჩერებს.

ჩვენ ერთგულნი ვრჩებით, რადგან ვიცით, რომ ის, რაც დადგება, გაცილებით დიდი და მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რასაც დღეს განვიცდით. ეს არის ჩვენი იმედის ღუზა, მტკიცე, მყარი, ძალიან საიმედო ღუზა.

ისეთი დროც დგება ხოლმე, როცა ქარიშხალი ჩამცხრალია. აქ, პერთში, ზღვის შესანიშნავი ხედით დავტკბით, სიწყნარით, სიმშვიდით, ძალიან ლამაზია! მაგრამ, როცა ზღვა მშვიდია, გემს მაინც სჭირდება ღუზა, რათა დინებამ არ წაიღოს იგი. მაშინაც კი, როცა არაფერი ხდება, იმედის ღუზა მაინც გვჭირდება. კაცი ყოველთვის არ განიცდის ტანჯვას, ჩვეულებრივად ცხოვრობს, დაკავებულია თავისი ყოველდღიური საქმეებით და ბევრ ადამიანს ავიწყდება, რომ ღმერთი არსებობს, მაგრამ მათ ის არ სჭირდებათ, რადგან ყველაფერი კარგად მიდის. წარმომიდგენია, რომ ავსტრალიაშიც ბევრია ისეთი, ვინც კარგად არის: ჯანმრთელები,

შეძლებულები და კმაყოფილები არიან და არ თვლიან სავალდებულოდ, რომ ყოველ დღე ასე ილოცონ ღვთის მიმართ: „მოწყალეო ღმერთო, მიშველე!“ ყველაფერი წესრიგშია, მათი ცხოვრება მშვიდად მიედინება.

ჩვენ, ღვთის შვილებს, ეს ღუზა გვაქვს და ღმერთთან საუკუნო თანაზიარებისკენ ვისწრაფვით. მაშინაც კი, როცა ჩვენს ცხოვრებაში ყველაფერი წესრიგშია, იმედის ღუზის მეშვეობით ღმერთთან კავშირს ვინარჩუნებთ და მას ვერაფერი დაგვაშორებს. ჩვენ გვინდა, ვიხილოთ ჩვენი უფალი, გვინდა საუკუნო თანაზიარება გვქონდეს მასთან, მასთან ყოფნა გვინდა.

და თუ იესო ჯერ კიდევ არ მოსულა, ჯერ კიდევ არაფერი გაუკეთებია, დროის ხანგრძლივობა მაინც ვერაფერს დგვაკლებს. ჩვენ ჩვენს ადგილზე დავრჩებით, უფლის სახლში, ვინაიდან მოლოდინში ვართ. ღრმად დარწმუნებულნი შევცქერით მომავალს. დაე, თუნდაც ყველაფერი წესრიგში იყოს, არაფერი ხდებოდეს და დიდი დროც დასჭირდეს უფლის მეორედ მოსვლას, ჩვენ მაინც ჩვენს ადგილზე დავრჩეთ. ღუზა დაგვიჭერს.

ხანდახან ჩვენს სისუსტეებს ვაცნობიერებთ და ვხვდებით, რომ ნამდვილად ცოდვილები ვართ. რაღაცეების გაკეთება განვიზრახეთ, მაგრამ ვერ გავაკეთეთ, რადგან ძალიან სუსტები ვართ. ვიღაცას ვაწყენინეთ, ვიღაცას გული ვატკინეთ, სადღაც შეცდომა დავუშვით და, თუ გულახდილად ვიტყვით, ხანდახან ფარ-ხმალსაც ვყრით და ვფიქრობთ: „ამას ვერ შევძლებ!“ მაშინ შეიძლება დინებას მივყვეთ და ვთქვათ: „არ ღირს, არ შემიძლია, ეს ყველაფერი საჩემო არ არის, ძალიან სუსტი ვარ, ცოდვილი!“ - არა, შენ ღუზა გაქვს. ნუ დაგავიწყდება, რომ იესო ღმერთთან არის. ის შენი ქომაგია.

მოდით, ქრისტეს წყალობის იმედად ვიყოთ! მაშინაც კი, როცა სისუსტეს ვიჩენთ, საწყალი ცოდვილები ვართ, საშინელებები გვაქვს ჩადენილი, მაინც წყალობის იმედად უნდა ვიყოთ, რადგან ვიცით, რომ ჩვენი წინამორბედი, იესო ქრისტე, უკვე იქ არის. ის ლოცულობს ჩვენთვის. ჩვენ მისი წყალობის იმედი გვაქვს. იმედის ღუზა იმისგან დაგვიცავს, რომ ღმერთს არ დაგვაშორონ, იგი ჩვენს ადგილზე მტკიცედ დარჩენის საშუალებას მოგვცემს. განა ეს შესანიშნავი არ არის?!

თვითეული ჩვენთაგანი, თვითეული თქვენთაგანი, ღმერთს თავისებურად ემსახურება. განსაკუთრებით ვფიქრობ ჩვენს ძმებზე ახალ ზელანდიასა და მომიჯნავე ქვეყნებში. მათ ბევრი იმუშავეს, მაგრამ ყოველთვის ვერ აღწევდნენ სასურველ შედეგს. ხანდახან ძნელია, როცა მუშაობ, მსახურობ და ხვდები, რომ წარმატება არ მოდის, არაფერი იცვლება.

მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ყველა განვიცდით ბოროტის ზემოქმედების ძალას, რომელსაც არ სურს, რომ ვაკეთოთ ღვთის საქმეები, გავავრცელოთ სახარება და ვიუწყოთ ქრისტეს მეორედ მოსვლაზე. ჩვენ ვგრძნობთ, თუ რა ძლიერია ბოროტი. მან შეიძლება წარგვიტაცოს, მაგრამ მერე ვხვდებით, რომ იმედის ღუზა გვაქვს, რომელიც სანდო ადგილზეა ჩაშვებული, მყარ საძირკველზე, ღმერთზე.

იესო მოციქულებს დაპირდა, რომ ბოლომდე მათთან იქნებოდა. ის შეპირდა მათ, რომ ბოროტი ვერ სძლევდა მის ეკლესიას. ჩვენ გვწამს მისი დაპირებებისა და ვიცით, რომ ყოვლისშემძლე, ერთგული ღმერთი შეასრულებს თავის აღთქმებს. ამიტომაც ფარ-ხმალს არ ვყრით. როგორც პავლე ამბობს, ჩვენ ქრისტეს იმედი გვაქვს. ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას და ვემსახურებით უფალს იმის შეგნებით, რომ ჩვენი შრომა ფუჭი არ არის (1. კორ. 15, 58). ძმებო, აი ეს არის ჩვენი ღუზა.

და ბოლო პუნქტი. პავლე ამბობს: „იხარეთ იმედში“ (რომ. 12, 12). იმედი მაშინაც გვახარებს, როცა ამის ხილული მიზეზი არ არსებობს. ღუზა უხილავია. მხოლოდ იმას ხედავს კაცი, რასაც იგი განაპიროებებს: გემი ადგილიდან არ იძვრის.

იმედი გახარების საშუალებას გვაძლევს თუნდაც მომავალზე ფიქრით, იმის მტკიცე მოლოდინით, რაც მოხდება. ეს არის აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ იესოსთან ერთად ვიქნებით, გვექნება მასთან საუკუნო თანაზიარება, გავიზიარებთ მის დიდებას, გვექნება ხსნა ტანჯვისგან, ბოროტისა და სიკვდილისგან; იმის ცოდნა, რომ მალე მასთან ვიქნებით, იმ სიხარულს გვანიჭებს, რომელსაც მაშინაც კი განვიცდით, როცა ამის ხილული



სამხ. მოციქული რობერტ ნზამბა (ზამბია)

სამხ. მოციქული მიხაელ ერიხი (გერმანია)

სამხ. მოციქული ლეონარდ-რიჰარდ კოლბი (აშშ)

სამხ. მოციქული ნოელ ბარნესი (კეიპტაუნი)

მიზეზი არ არსებობს. სიხარული იმედში - სულის შესანიშნავი ღუზაა!

ახლა კი საბოლოო პუნქტი ღუზის მაგალითთან მიმართებაში: ჩვენ ძალიან მნიშვნელოვან ღუზას ვფლობთ იესოში დაფუძნებული იმედით. მაგრამ იცით, რომ კაპიტანი წყვეტს, ჩაუშვას ღუზა წყალში თუ ამოიღოს. ეს მისი სურვილისამებრ ხდება. თუ ღუზას ამოიღებს, ქარი და ტალღები გემს წაიღებს. თუ კაპიტანი გამოუცდელია და უგუნური და ღუზას ამოიღებს, გემი ქარიშხალმა შეიძლება წაიღოს.

ჩვენზეა დამოკიდებული ის, იქნება ჩვენი ღუზა იესო ქრისტეში დამაგრებული თუ არა. საყვარელო ძმებო და დებო, ნუ ამოიღებთ იმედის ღუზას! როგორ შეიძლება ეს მოხდეს? ამის ახსნა ძნელი არ არის: ყოველთვის, როცა იესო ქრისტე პირველ ადგილზე აღარ არის გულში, ღუზა ამოღებულია. თუ რაიმე იესო ქრისტეზე და მასთან თანაზიარებაზე მნიშვნელოვანი ხდება, მაშინაც ამოღებულია ღუზა და ჩვენი სული საფრთხეში ვარდება. და კიდევ უფრო გასაგები რომ იყოს: თუ ღვთის მიერ ჩვენი თხოვნებისა და სურვილების შესრულება უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე მისი აღთქმების აღსრულება, მაშინ საფრთხეში ვართ.

ნორმალური და სრულიად ბუნებრივია იმის სურვილი, რომ ღმერთმა უპასუხოს ჩვენს თხოვნებს და მოგვცეს ის, რასაც ვთხოვთ და, რაც მისგან გვინდა რომ გვქონდეს. ესეც ქრისტიანული იმედის ნაწილია, ვინაიდან ღმერთთან შეუძლებელი არაფერია. მაგრამ, თუ ეს უფრო მნიშვნელოვანი გახდება, ვიდრე მისი აღთქმების აღსრულება, მაშინ საფრთხე დაგვემუქრება.

ეს არის რჩევა, რომელსაც სულიწმიდა გვაძლევს. საყვარელო ღვთის შვილო, ნუ ამოიღებ იმედის ღუზას. ჩვენი იმედი სარწმუნოა, ის ღმერთშია დაფუძნებული. ღმერთი ყოვლისშემძლეა, ერთგულია, ის შეასრულებს თავის აღთქმებს, მოგვანიჭებს საუკუნო სიცოცხლეს, მოავლენს იესო ქრისტეს, რათა თავისთან წაგვიყვანოს მან, და ახალ ცასა და ახალ მიწას შექმნის, სადაც ქრისტეს მორწმუნეებსა და მიმდევრებს აღარ ექნებათ ტანჯვა, და სადაც აღარ იქნება სიკვდილი. ასეთია მისი აღთქმა და ის მას შეასრულებს.

იმის გამო, რომ ეს აღთქმა გვაქვს, მტკიცენი ვრჩებით ქარიშხალშიც და მაშინაც, როცა სიმშვიდეა და ქრისტეს მეორედ მოსვლა დროში იწელება. სისუსტის დროსაც ღვთის წყალობის იმედად ვიყოთ. და თუ წარმატებებს ვერ მივაღწევთ და ბოროტის ძალის ზემოქმედებას შევიგრძნობთ, მაინც გავაგრძელოთ უფლის მსახურება იმის შეგნებით, რომ ის მის მოციქულებთან არის. უფალი დაიცავს მის მიერ დადებულ გამოსყიდვის აღთქმას და ჩვენი შრომა ფუჭი არ იქნება. თუ უფლისათვის ერთი სულით ვიშრომებთ, გვაკურთხებს იგი. ეს იმედი სიხარულით გვავსებს.

ძირითადი აზრები

ღმერთმა აღგვითქვა, რომ მოგვცემს საუკუნო სიცოცხლეს და მოავლენს მის ძეს, რათა მან თავისთან წაგვიყვანოს. ჩვენ ნდობითა და მოთმინებით ველოდებით მისი აღთქმების აღსრულებას. ეს იმედი, რაც არ უნდა მოხდეს, უფლის ერთგულების შენარჩუნების საშუალებას გვაძლევს.

სიყვარული, ნუგეში და ახალი სიცოცხლე

უძველესი გზავნილი, რომელიც დღესაც ძალიან აქტუალურია; ბიბლიური ციტატა, რომელიც ხშირად ისმის საგალობლებში და ლოცვა, რომელიც დიდი ხანია შეისმინეს: პირველმოციქულის ღვთისმსახურება ფსალმუნის ამ სიტყვებით იყო გაშუქებული: „სუფთა გული“ და „წრფელი სული“.

დაახ. 25 000-მა მორწმუნემ - ადგილზე თუ ტრანსლიაციის მეშვეობით - მიიღო მონაწილეობა 2016 წლის 18 სექტემბრის ღვთისმსახურებაში მიონხენგლადბახში (გერმანია).

შემოქმედი

„რატომ უნდა ვლოცულებდეთ ამაზე დღესაც?“- გაისმა კითხვა: „ღმერთმა პრინციპში შეისმინა უკვე ეს თხოვნა.“ პირველმოციქულმა შნაიდერმა ამას ამ სიტყვებით უპასუხა: „შეჰქმენი ჩემში, ღმერთო“, ასე იუწყება ფსალმუნი ხსნას, რომელიც შემოქმედმა განაპირობა. მაშასადამე, „მოდით, ჩავიხედოთ ღმერთის შემოქმედებაში.“ და არა მარტო იმიტომ, „რომ იესო ქრისტემ სახარება მოიტანა და თავისი სიცოცხლე მსხვერპლად გაიღო“, არამედ იმიტომაც, რომ ღმერთმა იმაზეც იზრუნა, რათა ეს გზავნილი და ნათლობა მემკვიდრეობითი ცოდვების ჩამოსაწმენდად ათასწლეულების მანძილზე გავრცელებულიყო - „მიუხედვად ომებისა, უსამართლობისა და ადამიანის ნაკლოვანებებისა“.

გული

„ღმერთმა ახალი გული გვიბოძა“, თქვა პირველმოციქულმა. ძველი აღთქმის პერიოდში რჯულის აღსრულება სავალდებულო იყო. იესო ქრისტესთან ერთად „ქვის გული - ქვის დაფებზე დაწერილი რჯული – სიყვარულის მოტივაციით შეიცვალა.“ ღმერთი „არ სჯის, მას უყვარს ადამიანები და გამუდმებით აგრძნობინებს მათ ამას.“

„ღმერთმა იმის შესაძლებლობა მოგვცა, რომ ჩვენი გული ყოველდღიური ცოდვებისგან განიწმიდოს. - ჩვენ გვაქვს წყალობა, იმის შანსი, შეიძლება ასეც ითქვას, რომ თავიდან დავიწყოთ ისე, თითქოს არც არაფერი მომხდარა.“ ამაში შედის, ერთი მხრივ, შენდობა, ხოლო მეორე მხრივ, მისი ნების უწყება: „ღმერთმა იზრუნა იმაზე, რომ მოვისმინოთ მისი სიტყვა და შევძლოთ მასზე ორიენტირება.“

სული

„ღმერთმა სულიწმიდა მოავლინა და პირველი ორმოცდაათობიდან მოყოლებული ის სულ აქ არის, სულ მუშაობს ამქვეყნისათვის. მას არ დაუტოვებია დედამიწა, არც ადამიანები“, აღნიშნა ეკლესიის ხელმძღვანელმა. „სულიწმიდა მუდამ ჩვენთან არის, მას შეუძლია ყოველთვის მოგვცეს რჩევა, ნუგეში და იესო ქრისტეზე მიუთითებს.“

„წრფელი სული განაახლე“ - ეს არის მითითება არა მარტო სულიწმიდის მოვლინებაზე, არამედ მის მადლზეც: „ეს შემოქმედის შემოქმედებითი აქტია, მან ახალი სიცოცხლე მოგვცა. სულიწმიდით აღბეჭდვისას მივიღეთ ეს ახალი სიცოცხლე. ის არის ძლიერების სული, რომელიც ისევ და ისევ გვაძლევს ძალას, რათა ძველი ქმნილება ვძლიოთ.“

პასუხი

„ხედავთ? ეს არის ღმერთის შემოქმედება. ასე შეისმინა მან იმჟამინდელი მორწმუნის ლოცვა“, განმარტა პირველმოციქულმა. „რატომ უნდა ვილოცოთ დღესაც იგივე? [...] იმიტომ, რომ ასე ბევრი რამის გამოთქმა შეგვიძლია.“

ჯერ ერთი, „მადლობა გადავუხადოთ ღმერთს ხსნის მომტანი შემოქმედებისათვის“, და მეორეც, „ამით ჩვენი წადილიც გამოვხატოთ“. შემდეგ ლოცვა ასე ჟღერს: „უფალო, მიბოძე წყალობა, განმწმიდე, მომეც შენი სიტყვა და მომიტევე და დამეხმარე, რომ ახალი ქმნილება გავხდე ქრისტეში. დამეხმარე, უშენოდ არაფერი გამომდის.“

ფოტო: ფრანკ ფულდტი

იესო აკურთხებს ბავშვებს

(მათ. 18, 19)

ერთ დღეს იესოს ბავშვები მიუყვანეს. მათ პატრონებს უნდოდათ, რომ უფალს ისინი ეკურთხებინა.

მოწაფეები შეეცადნენ, რომ იესოსათვის ბავშვები მოეშორებინათ. ისინი ფიქრობდნენ, რომ ბავშვები აწუხებდნენ უფალს.
ასევე ფიქრობდნენ, რომ ბავშვები ხელს უშლიდნენ იესოს, რადგან არ იცოდნენ, თუ როგორ უყვარდა მას ისინი.
იესომ დაინახა, რომ მოწაფეებს ბავშვების გაყვანა სურდათ და უთხრა მათ: „გამოუშვით ბავშვები და ნუ აბრკოლებთ მათ ჩემთან მოსასვლელად, ვინაიდან ამათნაირებისაა ცათა სასუფეველი“.
ამის მერე იესომ დაადო ხელი მათ და აკურთხა.
ერთხელაც მოწაფეებს იესოსგან იმის გაგება უნდოდათ, თუ ვინ იყო ყველაზე დიდი ცათა სასუფეველში.

ამ დროს იესომ ერთ ბავშვს დაუძახა, მათ შორის ჩააყენა და თქვა: „თუ არ მოიქცევით და არ იქნებით, როგორც ბავშვები, ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველში. ამრიგად, ვინც თავს დაიმდაბლებს, როგორც ეს ბავშვი, ის იქნება უდიდესი ცათა სასუფეველში“.
შემდეგ იესომ თქვა: „და ვინც მიიღებს ერთ ასეთ ბავშვს ჩემი სახელით, მე მიმიღებს. ხოლო ვინც ამ მცირეთაგანს, რომელსაც ჩემი სწამს, აცდუნებს, მისთვის აჯობებდა ... ზღვის უფსკრულში ჩაეძირათ. არ უგულვებელყოთ არც ერთი ამ მცირეთაგანი! გეუბნებით თქვენ, რომ მათი ანგელოზები სულ მუდამ ხედავენ ჩემი ზეციერი მამის სახეს“.

ბიბლიის ეპოქაში შთამომავლობა ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან მათ ასაკში შესულ მშობლებზე უნდა ეზრუნათ. თუმცა ვიდრე პატარები იყვნენ, დიდად არ აფასებდნენ მათ ანტიკურ საზოგადოებაში: მათ ჯერ არ შეეძლოთ თავიანთი წვლილი შეეტანათ ოჯახის რჩენაში და ვერც რელიგიურ წესებს იცავდნენ. და ვინაიდან მაშინ თითქმის არ არსებობდა სამედიცინო მომსახურება, ბევრი ბავშვი ადრეულ ასაკში კვდებოდა.

წყარო: ჟურნალი „ჩვენ ბავშვები“, გამოცემა 8/2016 წ.; მირელა ფორტუნატი

სტუმრად გვინდოლინთან ლე-მონ-დორეში (ახალი კალედონია)

გამარჯობათ, საყვარელო ბავშვებო. მე გვინდოლინი მქვია, ვარ ათი წლის და ვცხოვრობ ახალ კალედონიაში.

ბევრ თქვენთაგანს ნამდვილად არ ექნება გაგონილი ამ კუნძულების შესახებ: თუ გლობუსს შეხედავთ, ავსტრალიის მარჯვნივ ახალ კალედონიას დაინახავთ. ჯეიმს კუკმა, დიდმა ინგლისელმა მოგზაურმა და მკვლევარმა, ისინი 1774 წელს აღმოაჩინა.



მსოფლიოში ნიკელის მარაგის მეოთხედი ახალ კალედონიაში მოიპოვება. ნიკელი არის მადანი, რომელიც ძვირფასი ლითონების დასამზადებლად გამოიყენება. მას ვხვდებით ჭურჭლის სარეცხ მანქანებში და სარეცხ მანქანებში, ძრავებში, დანა-ჩანგალსა და მოდურ სამკაულებში. ნიკელი ლითონის დაჟანგვას აფერხებს. მამაჩემი ნიკელის დიდ მაღაროში მუშაობს.

ახალ კელედონიაში ცხოვრობს ერთი ჩიტი, რომელსაც მხოლოდ აქ შეიძლება შეხვდეს კაცი: კაგუ. მას ფრენა არ შეუძლია, სამაგიეროდ ძაღლივით ყეფს. ეს ძალიან სასაცილოა.

წარმოგიდგენთ ჩემს ოჯახს: დედაჩემი ლინდა, მამაჩემი რიჰარდი და ჩემი ძმა კენდივეი. ის თორმეტი წლის არის და ჩემთან ერთად დადის საკვირაო სკოლაში. ჩვენს უკან ჩვენი საკვირაო სკოლის მასწავლებელი დგას.

ესენი ჩვენი ჯგუფელები არიან საკვირაო სკოლიდან.

ჩვენ ვცხოვრობთ ლე-მონ-დორეს (=ოქროს მთა) ერთ სახლში. ამ სახელს ქალაქი იმიტომ ატარებს, რომ ადრე აქ მიწაში ოქრო იპოვეს.

ლე-მონ-დორე სამხრეთიდან 30 კმ-ით არის დაშორებული ქვეყნის დედაქალაქიდან „ნუმეა“. კვირაობით დაახ. 45 წუთი ვუნდებით გზას ნუმეას ეკლესიამდე (ნახე ისარი), რომ ღვთისმსახურებას დავესწროთ.

ცოტა ხნის წინ ფრანკფურტიდან მღვდელმსახურები გვესტუმრნენ, მე მათთვის პამპელმუსები (გრეიფრუტის ნაირსახეობა) დავკრიფე. მხედავთ პამპელმუსის ხის ტოტებში?

მე მიყვარს ჩემს ცხოველებზე ზრუნვა, ძაღლზე, კატაზე და თხაზე.

მართალია, არ გამოვიყურები ისე, მაგრამ ბევრს ვჭამ. ყოველთვის იქ ვარ, სადაც კარგი საჭმელია. ეს სურათი ეკლესიაში მადლიერების დღესთან დაკავშირებულ ერთობლივ სადილზეა გადაღებული.

2015 წელს პირველმოციქული გვესტუმრა; ჩვენ, ბავშვები, მას ეკლესიის წინ საგალობლით მივესალმეთ. გულები ძლიერად გვიძგერდა, მაგრამ მასთან შეხვედრა ძალიან მაგარი იყო.

წყარო: ჟურნალი „ჩვენ ბავშვები“, გამოცემა 3/2017 წ.; ფოტოები: ჰორადი, © pierre foto - Fotolia.com

ფოტო: © maryd - Fotolia.com

ცოდვათა მიტევება - წინაპირობა და მოქმედება

ცოდვათა მიტევება ღვთის წყალობის უშუალო შეგრძნებას ხდის შესაძლებელს. მაგრამ, როგორ მივაღწიოთ მას? და როგორ მოქმედებს იგი? - მოსაზრებები პირველმოციქულ ჟან-ლუკ შნაიდერის სასწავლო ტექსტიდან:

ცოდვათა მიტევების (ასევე „შენდობის“) რწმენა ქრისტიანული რწმენის მთავარი ელემენტია: ცოდვათა მიტევება განსაკუთრებულად არის ხაზგასმული თავდაპირველი ეკლესიის აღმსარებლობებში - ესე იგი, აპოსტოლიკუმსა და ნიკეა-კონსტანტინოპოლის მრწამსში („კატეხიზმო კითხვებსა და პასუხებში“, 2-ე თავი) - და ასევე ჩვენი სარწმუნოების მესამე დებულებაში.

ერთხელ და სამუდამოდ

ცოდვათა მიტევება იესო ქრისტეს მსხვერპლის შედეგად გახდა შესაძლებელი. ცოდვის ბატონობისგან საფუძვლიანი განთავისუფლება წყლით წმიდა ნათლობაში ხორციელდება, როცა მემკვიდრეობითი ცოდვების ჩამორეცხვა ხდება. ყოველ ღვთისმსახურებაზე მოციქული ან მის მიერ უფლებამოსილი მღვდელმსახური იესოს სახელით შენდობას იუწყება. ეს კი, თუ მას მორწმუნე გულით მიიღებს კაცი, საბოლოო ჯამში, ინდივიდუალური ცოდვისა და ღმერთის წინაშე ჩადენილი დანაშაულის დაფარვას განაპირობებს. თუმცა ცოდვისკენ მიდრეკილებისგან არც წყლით ნათლობა და არც შენდობის სიტყვები არ ანთავისუფლებს ადამიანს (კონკუპისცენცია). როგორც კი ცოტა ხნის წინ ჩადენილი ცოდვებისგან გავნთავისუფლდებით, დიდი მცდელობის მიუხედავად ისევ თავიდან ვცოდავთ.

მომზადებულნი შენდობისათვის

ცოდვათა მიტევების მიღწევას ინტენსიური მომზადება უძღვის წინ:

- კარგად უნდა შევამოწმოთ საკუთარი თავი და გავაცნობიეროთ ჩვენი შეცდომები;
- ვაღიაროთ ჩვენი ცოდვა ღმერთის წინაშე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არა მხოლოდ შეცდომები უნდა გავაცნობიეროთ, არამედ ჩვენი დანაშაულიც;
- მოვინანიოთ. მაშ, მოდით, გამოვავლინოთ ჩვენი გადაწყვეტილება და იმის სურვილი, რომ უკეთესები გავხდებით;
- მივიღოთ გადაწყვეტილება, რომ მოყვასთან შერიგების გზით ვივლით.

ამგვარი ქცევა ერთმნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჩვენს განწმედას.

მშვიდობა ღმერთთან

შენდობის შედეგად არა მხოლოდ ჩვენი ცოდვების დაფარვა ხდება, არამედ თან მკვდრეთით აღმდგარი უფლის მშვიდობაც გვენიჭება:

- უფალი გვიდასტურებს, რომ მიუხედავად ჩვენი ცოდვებისა ის არ მიგვატოვებს და, რომ მისი სიყვარული ჩვენდამი უცვლელია;
- იესო ქრისტე იმას გვახსენებს, რომ მან ბოროტს სძლია. მართალია, სატანას ჩვენი ცდუნება შეუძლია, მაგრამ ღმერთის სიყვარულს ვერ ჩამოგვაშორებს;
- შეგვიძლია თამამად დავიწყოთ თავიდან.

სიახლოვე ღვთის შვილთა შორის

გარდა ამისა, ცოდვათა მიტევება ღვთის შვილთა ერთმანეთთან დაახლოებასაც უწყობს ხელს, ასევე იმ ერთობის განმტკიცებას, რომელიც უფალს სურდა:

- Iლოცვაში „მამაო ჩვენო“, რომელიც შენდობის სიტყვების წინ წარმოითქმის, თემი ცოდვებს აღიარებს - თვითეული ჩვენთაგანი საჯაროდაღიარებს თავის შეცდომებს და იმას, რომ თვითონ მოყვასზე უკეთესი არ არის;
- ეს ერთობლივი აღიარება ამ თხოვნას უკავშირდება: „გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან“ - ეს თხოვნა ხაზს უსვამს თემის სოლიდარობას ცოდვის წინააღმდეგ ბრძოლაში: „აღიარეთ ცოდვები ერთმანეთის წინაშე და ილოცეთ ერთმანეთისათვის,რათა განიკურნოთ“ (იაკ. 5, 16);
- შენდობა ყველას ეუწყება - ყველას შეუძლია იმ მიტევების მოსმენა, რომელიც მეორე ადამიანს ენიჭება, და ამით გახარება.

ღირსეულად მივიღოთ წმიდა ზიარება

გარდა ამისა, ცოდვათა მიტევების მნიშვნელობა წმიდა ზიარებასთან მისი უშუალო კავშირიდანაც გამომდინარეობს. ქრისტეში სიცოცხლისათვის აუცილებელია წმიდა ზიარების ღირსეულად მიღება. თავად ცოდვათა მიტევება კი უცილობელია წმიდა ზიარების ღირსეულად მიღებისათვის, კერძოდ, რამოდენიმე მიზეზის გამო:

- იესო ქრისტესთან საკრამენტალური თანაზიარება რომ გვქონდეს, განწმედაა საჭირო;
- წმიდა ზიარებაში მონაწილეობა მონათლულთა წილხვედრია: მათი, ვინც ცდილობს, ზურგი აქციოს ბოროტს, რათა ქრისტეს გაჰყვეს. როცა ცოდვათა მიტევების მისაღებად ვინანიებთ, ამით ვაჩვენებთ, რომ - ყველა ჩვენი ნაკლოვანების მიუხედავად - მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი იმ პირობის დაცვა, რომელიც ნათლობის დროს დავდეთ (ბავშვების ნათლობის დროს იესო ქრისტეს რწმენისა და სახარებისამებრ ცხოვრების პირობას მშობლები დებენ, მოგვიანებით კი მას ახალგაზრდა კონფირმანდები საკონფირმაციო ფიცით ადასტურებენ);
- წმიდა ზიარების დროს თემს თანაზიარება აქვს ერთმანეთთან. ჭეშმარიტი თანაზიარება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ურთიერთმიტევება ხდება.

მართალია, წმიდა ზიარება საიდუმლო არ არის, მაგრამ მას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მომზადებისათვის წმიდა ზიარების ღირსეულად მისაღებად და, ამდენად, უფლის მეორედ მოსვლისათვის. .

სატიტულო ფურცელი
გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი, იუბერლანდშტრასე 243, CH-8051 ციურიხი/ შვეიცარია
შპს ფრიდრიხ ბიშოფის გამომცემლობა, ფრანკფურტერშტრასე 233, 63263 ნოი-იზენბურგი/გერმანია
რედაქტორი: პეტერ იოჰანინგი

ცოდვათა მიტევება და მოციქულობა

„ცოდვათა მიტევება მოციქულობის გარეშე - განა ეს შესაძლებელია? მომავალში, რა თქმა უნდა. და დღეს: გამორიცხული არ არის“ - წერს პირველმოციქული. მთავარი ის არის, რომ უფლებამოსილი სასულიერო თანამდებობა მორწმუნეს დამაჯერებლობას ანიჭებს.

აღდგომის შემდეგ იესო ქრისტემ მოწაფეებს მისი სახელით ცოდვათა მიტევების უწყება დაავალა: „როგორც მე მომავლინა მამამ, მეც მიგავლენთ თქვენ. [...] ვისაც მიუტევებთ ცოდვებს, მიეტევებათ, ვისაც დაუკავებთ, დაეკავებათ“ (იოან. 20, 21. 23). კატეხიზმო განმარტავს, თუ როგორ უნდა გავიგოთ ეს ბიბლიური მითითება: „მოციქულთა ამოცანაა […] ცოდვათა მიტევება ადამიანს აუცილებლად იესო ქრისტეს მსხვერპლისა და დამსახურების წყალობით აუწყონ“ (ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმო 2. 4. 4).

სარწმუნოებრივი დებულებებიდან

ჩვენი მრწამსის ორ სარწმუნოებრივ დებულებაში ცოდვათა მიტევების რწმენასა და მასთან დაკავშირებულ მოციქულთა ამოცანაზეა ლაპარაკი.

მესამე სარწმუნოებრივ დებულებაში ნახსენები მიტევება ამ ორ ასპექტზე, როგორც ღვთის საქმეზე, ისე ლაპარაკობს: მხოლოდ სამერთ ღმერთს შეუძლია ცოდვათა დაფარვა და თანაც ნებისმიერ დროს. იესო, ღვთის ძე, თავის თავზე ამბობს, რომ მას აქვს ცოდვათა მიტევების ხელმწიფება (შევ. მარკ. 2, 10), და ეს მან ჯერ კიდევ მის ჯვარცმამდე თქვა.

მეოთხე სარწმუნოებრივი დებულება მთლიანად იესოს ეკლესიაში მოღვაწეობას ეყრდნობა. ქრისტეს ეკლესიაში მათ, ვისაც იესო ქრისტესი - მხსნელის - სწამს, ნათლობის წყალობა შეუძლიათ მიიღონ და მემკვიდრეობითი ცოდვების ჩამორეცხვა განიცადონ. ეკლესიაში მოციქულების ამოცანა ცოდვათა მიტევების აუცილებელი უწყებაა.

არავითარი ავტომატიზმი

მიტევებას მოციქული იუწყება, მაგრამ მიუტევებს ღმერთი. ცოდვათა მიტევებასთან დაკავშირებული მოციქულთა უფლებამოსილება ავტომატური არ არის. ცოდვების ჩამორეცხვა რომ მოხდეს, მარტო მოციქულთა მიერ ცოდვათა მიტევების უწყება არ კმარა. მიტევება მაშინ იმოქმედებს, თუ ცოდვილი მზად არის მონანიებისა და მიტევებისათვის. ცოდვილი დარწმუნებულია, რომ ცოდვათა მიტევებას მაშინ მიაღწევს, თუ მოციქულის სასულიერო თანამდებობის ავტორიტეტს რწმენით მიენდობა.

მოციქულები, როგორც ქრისტეს მაცნენი, ისე იღვწიან: მათი პირით თავად იესო აუწყებს შენდობას მორწმუნეს. მოციქულის მიერ ნაუწყები მიტევება გადამწყვეტია, ადამიანთა განსჯისა და თანხმობისგან დამოუკიდებელი. ცოდვილს შეუძლია ღვთისგან მიტევება მიიღოს მაშინაც კი, თუ ადამიანები მას კვლავაც ადანაშულებენ.

მოციქულობის გარეშეც?

გამორიცხავს მოციქულთათვის მინდობილი ცოდვათა მიტევების დავალება ნებისმიერ სხვა შესაძლებლობას, რომ მოციქულობის გარეშეც შეძლოს კაცმა ცოდვათა მიტევების მიღწევა?

მოდით, პირველ რიგში, გავიხსენოთ ის, რომ მოციქულთა ამოცანა დროშია შეზღუდული, პრინციპში ის ქრისტეს მეორედ მოსვლის უწყებასა და მორწმუნეთა ამ მოვლენისათვის მომზადებაში მდგომარეობს. უფლის მეორედ მოსვლის დროს ცოცხლებიცა და მკვდრებიც, რომლებიც ამ მოვლენისათვის მოემზადნენ, აღდგებიან. ისინი განდიდებულ სხეულს მიიღებენ და ღმერთთან საუკუნო თანაზიარებაში შევლენ.

ვინაიდან მათ შემთხვევაში საქმე ცოდვილებს ეხება, იმისათვის, რომ ღმერთთან ყოფნა შეძლონ,

ფოტო: Marcel Felde

ცოდვათა მიტევება მათაც დასჭირდებათ. ამ მიტევებას მოციქულები კი არ აუწყებენ მათ, არამედ უშუალოდ ღმერთი. ეს ეხება მოწამეებსაც, რომლებიც „დიდი ვაების ჟამის“ შემდეგ აღდგებიან. უკანასკნელ სამსჯავროზე თავად ღმერთი მიანიჭებს წყალობას იმათ, რომლებიც ახალ შემოქმედებაში შესვლის უფლებას მოიპოვებენ.

ამდენად, ჩვენი სარწმუნოებრივი მოძღვრება ხაზს უსვამს დედამიწაზე მოციქულთა მოღვაწეობის შემდეგაც ცოდვათა მიტევების მიღწევის შესაძლებლობას. მოციქულის სასულიერო თანამდებობის პიროვნულად აღდგენის პერიოდთან დაკავშირებით ჩვენს კატეხიზმოში განმარტებულია, რომ სავარაუდოდ „... ღმერთი ამ პერიოდშიც მიმტევებლური წყალობით მიმართავდა მორწმუნეს“ (კატ. 6. 4. 2. 2).

სასულიერო თანამდებობის უფლებამოსილება არწმუნებს ადამიანს

როგორ არის საქმე ჩვენს დროში? ამასთან დაკავშირებით კატეხიზმო მთავარ ჭეშმარიტებაზე ლაპარაკობს: „ღმერთს შეუძლია, რომ თავისი ყოვლისშემძლეობით ყოველთვის მიუტეოს ცოდვები“ (კატ. 12, 1. 8. 1). ამდენად, ცოდვათა მიტევების შესაძლებლობას მოციქულის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მონაწილეობის გარეშე ვერ გამოვრიცხავთ.

ამიტომაც ვერ დავიწყებთ იმის მტკიცებას, რომ დღეს ღმერთის მიერ მორწმუნისათვის ცოდვათა მიტევება შეუძლებელი იქნება, თუ მას ახალსამოციქულო ეკლესიაში მოქმედი მოციქულებისა არ სწამს. ღმერთს სასულიერო თანამდებობისა და ეკლესიისგან სრულიად დამოუკიდებლად შეუძლია მიუტეოს ცოდვები! თუმცა მხოლოდ მათ, ვისაც მოციქულების მიერ ეუწყა ცოდვათა მიტევება, შეუძლიათ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ნამდვილად მიეტევათ ცოდვები.

საცნობი გავხადოთ მოციქულის სასულიერო თანამდებობის ზემოქმედება

წარსულში ზოგჯერ მოციქულის სასულიერო თანამდებობის მნიშვნელობას, უპ. ყოვლისა, ცოდვათა მიტევების ამოცანაში ხედავდნენ. ამგვარი შეხედულება გამომდინარეობს იქიდან, რომ ცოდვათა მიტევება მოციქულის სასულიერო თანამდებობის გარეშე შეუძლებელი იყო, რაშიც ეჭვი არ ეპარებოდათ. იმჟამად მთავარი აქცენტი ცოდვათა მიტევებაზე კეთდებოდა; წმიდა ზიარება მხოლოდ შენდობის დანამატი იყო, გარკვეულწილად, ცოდვათა მიტევების ერთგვარი დასტური ან ქვითრი.

დღეს წმიდა ზიარებას ღვთისმსახურების მთავარ მოვლენად ვთვლით, ხოლო ცოდვათა მიტევებას წმიდა ზიარების აღნიშვნის უცილობელ წინაპირობად. ჩვენ გვწამს, რომ წმიდა ზიარება უფლის მეორედ მოსვლისათვის მომზადების მნიშვნელოვანი საშუალებაა და, რომ ამ საიდუმლოს მართვა მოციქულებს აქვთ მინდობილი.

ჩვენ, ღვთის შვილებს, გვავალია, რომ ადამიანებს ცოცხალი მოციქულების საქმიანობაზე გავუმახვილოთ ყურადღება. ამას მაშინ შევძლებთ, თუ მოციქულთა წერილი ვიქნებით, რომელსაც იცნობენ და კითხულობენ ადამიანები (შევ. 2. კორ. 3, 2). თვითეულ ჩვენთაგანში და ჩვენს თემებში მოციქულის სასულიერო თანამდებობის ზემოქმედება უნდა შეიცნობოდეს!

მოდით, ვიმოწმოთ იმაზე, რომ მოციქულებს ცოდვათა მიტევების უწყების უფლებამოსილება აქვთ! ვაჩვენოთ, რომ ახალსამოციქულო ქრისტიანებს

- ჰყოფნით იმის სიმამაცე, ეჭვქვეშ დააყენონ საკუთარი თავი და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, შეიცვალონ;
- მზად არიან მიტევებისა და შერიგებისათვის;
- ცდილობენ, ჰქონდეთ ერთობა ურთიერთშორის.

ამგვარი პოზიცია ღვთის კურთხევას მოგვიტანს და გააღვივებს ჩვენი თანამოძმეების ინტერესს სამოციქულო საქმის მიმართ.

ფოტო: ჯესიკა კრეიმერი და სამხრ. აფრიკის ახ.ეკ.

გავწმინდოთ გზა

რამ უნდა შეუშალოს ღმერთს ხელი სულის გადარჩენაში. ნუთუ ვერაფერმა? როგორ არა: თავად ყოვლადძლიერისთვისაც არსებობს დაბრკოლება, ადამიანებისთვის კი იმის საშუალებები, რომ გზა გაწმინდონ - ინსტრუქცია გამწმენდი ჯგუფისათვის ხუთ საფეხურად.

„არსებობს ერთი რამ, რამაც ღმერთს ჩვენს გადარჩენაში შეუძლია ხელი შეუშალოს.“ ხაზი გაუსვა პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა სილვერტაუნში (სამხრ. აფრიკა). „მას არ სურს ჩვენი ნებისგან გვიხსნას. ეს არის გასაღები - ღმერთს უნდა ჩვენი გადარჩენა, მაგრამ ამისათვის გზა უნდა გავიკვალოთ.“

2016 წლის 18 დეკემბერს ჩატარებული ღვთისმახურება დაახ. 100 000 მონაწილეს ითვლიდა - უმეტესობა ვიდეოტრანსლიაციით იყო შემოერთებული.

საფეხური პირველი: ვიბრძოლოთ ცოდვის წინააღმდეგ

პირველმოციქულმა ხუთი შესაძლებლობა დაასახელა ღვთისათვის გზის გასანთავისუფლებლად - ყველაზე წინ კი ეს: „ადამიანს იმის ნება უნდა ჰქონდეს, რომ უარი უთხრას ცოდვას. მე მინდა ვძლიო ბოროტს.“ ეს არის როგორც წყლით წმიდა ნათლობის საფუძველი, ასევე ცოდვათა მიტევებისაც. გადამწყვეტი აქ არის ის, რომ ცოდვასთან კომპრომისებზე არ წავიდეთ. „მოდით, უარი ვუთხრათ ცოდვას - ყველა ცოდვას, არა მხოლოდ დიდსა და ხილულს, არამედ ნებიმიერ ცოდვას.“

საფეხური მეორე: განვიწმიდოთ ღვთისმსახურებისათვის

„უფალს სურს, რომ ღვთისმსახურებაზე შეგვხვდეს. გზა რომ მოვუმზადოთ მას, ამისათვის საჭიროა წესრიგი დავამყაროთ გულში და სწორი პრიორიტეტები დავისახოთ“: „შენ იცი ჩემი სადარდებელი და გასაჭირი, ჩემი სურვილები. მაგრამ ისიც იცი, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემთვის შენს სასუფეველში შესვლაა.“ ღვთისმსახურებისათვის განწმედაში შედის ეს პოზიციაც: „ღმერთო, დამეხმარე, რომ შენ შენს მიერ

პირველმოციქული შნაიდერი სამხრ. აფრიკის ახალი სამხ. ეკლესიის მოციქულებთან ერთად.

პირველმოციქული (პენსიაში) ვილჰელმ ლებერი და სამხ. მოციქული (პენსიაში) ნოელ ბარნესი

მოვლენილ ცოდვილ, არასრულყოფილ მსახურში შეგიცნო.“

საფეხური მესამე: შევიკრიბოთ იესოს სახელით

იესო ქრისტეს ღვთისმსახურებაზე სუფევა რომ განვიცადოთ, მისი სახელით შეკრებაა საჭირო: „კარგად უნდა გვესმოდეს შემდეგი: ახალ მე ძმასთან და დასთან ერთად ვიმყოფები. - ისინი იმდენად მნიშვნელოვანია იესოსათვის, რომ იგი მათთვის მოკვდა. მაშასადამე, არ შეიძლება, რომ მე მათ მარტო როგორც ცოდვილებსა და იშვიათ ხალხს ისე ვუყურო.“ ეს იმასაც ნიშნავს, რომ ყველა დაბრკოლება, რომელიც ჩვენს შორის არსებობს, გზიდან მოვიშოროთ. „ჩვენს მაგივარად ამას ღმერთი არ გააკეთებს. - ის ჩვენგან ჩვენი პრობლემების ურთიერთშორის გადაწყვეტასა და შერიგებას მოელის. ეს არის ჩვენი ამოცანა.“

საფეხური მეოთხე: ვიყოთ ორიენტირებულნი სახარებაზე

„ღმერთს ჩვენი მოყვასის გადარჩენაც სურს.“ აქ მორწმუნეებს ასევე იმისკენ მოუწოდებენ, რომ გზა გაუკვალონ ყოვლისშემძლე ღმერთს. „მოდით, ჩვენი ცხოვრების გზა ღირსეულად, სახარების შესაბამისად, განვლოთ.“ არც ახალსამოციქულო ქრისტიანებიდაარცეკლესიაარარისსრულყოფილი. სწორედ ამიტომ „მოდით, გავაკეთოთ ღვთის საქმე ისე, რომ მივუტევოთ ერთმანეთს, გვიყვარდეს ერთამანეთი და დავძლიოთ ყველა სხვაობა.“

საფეხური მეხუთე: ვიყოთ აქტიურნი თემში

და ბოლოს, უფლისათვის გზის მოსამზადებლად საკმაოდ პრაქტიკული შესაძლებლობები არსებობს: „ეს ეხება ჩვენს მიერ გაღებულ მსხვერპლს და ჩვენს მონაწილეობას თემის ცხოვრებაში“, აღნიშნა პირველმოციქულმა, მიუთითებდა რა მოწაფეების მიმართ იესოს კონკრეტულ თხოვნებზე, მოემზადებინათ მისთვის პასექი.

დასკვნა: ვებრძოლოთ ცოდვას, განვიწმიდოთ ღვთისმსახურებისათვის, შევიკრიბოთ იესოს სახელით, ორიენტირებულნი ვიყოთ სახარებაზე და ვიყოთ აქტიურნი თემში - „ეს არის ის გზა, რომლის მეშვეობითაც მხსნელს გზას მოვუმზადებთ“.

ძირითადი აზრები

მარკ. 1, 2. 3

„როგორც ესაია წინასწარმეტყველში
სწერია: ‘აჰა, მოვავლენ შენი
სახის წინაშე ჩემს ანგელოზს,
რომელიც მოამზადებს შენს გზას.
ხმა მღაღადებლისა უდაბნოში.
განუმზადეთ გზა უფალს, მოასწორეთ
მისი ბილიკები!“

მხსნელს იმით ვუმზადებთ გზას, რომ ვებრძვით ცოდვას, ვიწმინდებით ღვთისმსახურებისათვის, ვიკრიბებით იესოს სახელით, ორიენტირებულნი ვართ სახარებაზე და აქტიურნი ვართ თემში.

პროგრამა

02.04.2017	ბუენოს-აირესი/არგენტინა
05.04.2017	მენდოზა/არგენტინა
08.04.2017	პანამა/პანამა
09.04.2017	პანამა/პანამა
14.04.2017	ვინტერტური/შვეიცარია
16.04.2017	მარბურგი/ გერმანია
14.05.2017	ტილინგი/ფილიპინები
18.05.2017	ლამპუნგ-სუმატრა/ინდონეზია
21.05.2017	ჯაკარტა/ინდონეზია
28.05.2017	იოახიმსტალი/გერმანია
04.06.2017	ვენა/ავსტრია
11.06.2017	ჩიკაგო/აშშ
18.06.2017	ფრანკფურტი/გერმანია
25.06.2017	ზამბეზი-ცენტრალი/ზამბია
27.06.2017	მანზა/ზამბია
30.06.2017	თიკა/ კენია

New Apostolic Church
International